სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

ოქტომბერი №10

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საბაჟო-სასაზღვრო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2016

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
*registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009*

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki 'respublika~
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Corespondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 6 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 6

ISSN 1987-9156

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

ekonomikuri qronika / **Economic chronicles** ---------- 5-9

auqcioni / **auction**----------10-14

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi —-----————————-------————-— 15-79

instruqcia / **Instructions** ----------80

gadasaxadebi #10, 2016

GADASAKHADEBI #10, 2016

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ECONOMIC NEWS

7-საფეხურიანი ნახტომი ბიზნესის კეთების მსოფლიო რეიტინგში

2016-10-26

7-საფეხურიანი ცვლილება ერთი წლის განმავლობაში არის ძალიან დიდი ნახტომი, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება ნებისმიერი ინვესტორისთვის, - ასე შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული კვლევები. გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, საქართველომ ბიზნესის კეთების მსოფლიო რეიტინგში 23-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე აიწია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„მსოფლიო ბანკის რეიტინგს რაც შეეხება, ძალიან კარგი, მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ფაქტობრივად, 7 საფეხურით აიწია საქართველომ ბიზნესის კეთების მსოფლიო რეიტინგში - 23-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება, ვინაიდან საქართველო შედის წამყვან ქვეყნებში და 7-საფეხურიანი ცვლილება ერთი წლის განმავლობაში არის ძალიან მნიშვნელოვანი დადებითი ნახტომი, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება ნებისმიერი ინვესტორისთვის", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური

მერსი ტემბონი - მომავალ წელს ისევ მოვალთ და ვიტყვით, რომ საქართველომ მეტ წარმატებას მიაღწია

26 ოქტომბერი, 2016

„ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ საქართველო მოწინავე 10 ქვეყანას შორისაა, რომლებმაც ბიზნესის წარმოების რეიტინგში საკუთარი მაჩვენებლები გლობალური მასშტაბით გააუმჯობესეს," - განაცხადა მსოფლიოს ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში მერსი ტემბონმა სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ საინფორმაციო ბრიფინგზე, რომელიც მსოფლიო ბანკის "Doing Business 2017"-ის კვლევას მიეძღვნა.

აღნიშნული კვლევით, საქართველო 190 ქვეყანას შორის მე-16 ადგილზეა. რეიტინგის თანახმად, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საქართველო მესამე ადგილზეა უმაღლესი რეიტინგის მქონე ქვეყნებს შორის - მაკედონიის (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა) და ლატვიის შემდეგ. საქართველო, ასევე, იმ მოწინავე 10 ქვეყანას შორისაა, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს საკუთარი მაჩვენებლები გლობალური მასშტაბით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გასული წლის განმავლობაში, საქართველომ ხუთი რეფორმა განახორციელა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ელექტროენერგიის მიღება, ქონების რეგისტრაცია, მინორიტარი ინვესტორების უფლებების დაცვა, საერთაშორისო ვაჭრობა და გადასახადების გადახდა.

„საქართველო ევროპის ყველა ქვეყანას შორის მესამე ადგილზეა, რითაც ძალიან ვამაყობთ“ - განაცხადა მერსი ტემბონმა. მან დაასახელა ის რეფორმები, რომლებიც საქართველოს მთავრობამ განახორციელა. კერძოდ, ქონების რეგისტრაცია, როდესაც გაუმჯობესდა მიწის ადმინისტრირება თბილისში კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთების რუკაზე დატანით; აგრეთვე მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა - საქართველომ გააძლიერა მცირე ინვესტორების დაცვა აქციონერთა უფლებების და როლის გაზრდით ძირითადი კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებაში და მფლობელობის და მაკონტროლებელი სტრუქტურების მკაფიოდ განსაზღვრით. ასევე ვაჭრობა საზღვრებს შორის - ელექტრონული დამუშავების სისტემის გაუმჯობესებით შესაძლებელი გახდა ექსპორტის და იმპორტის დოკუმენტების უფრო სწრაფი წარდგენა. ასევე, დაინერგა წინასწარი ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის შესაძლებლობა.

გადასახადების გადახდა - ამ სფეროში საქართველომ გააუქმა მოგების გადასახადის დეკლარაციის დამატებითი დანართი და გაუმჯობესა დღგ-ის დეკლარაციების წარსადგენად გამოყენებული ონლაინ სისტემის ეფექტიანობა.

ელექტროენერგიით მომარაგება - გაუმჯობესდა ელექტროენერგიით მომარაგების საიმედოობა, რადგან დაწესდა საჯარიმო სანქციები ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის ხანგრძლივობის დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებისთვის და ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის სიხშირის დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებისთვის. ასევე გაუმჯობესდა მომხმარებლის ინფორმირება ელექტროენერგიის დაგეგმილი გათიშვის შესახებ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საჯარო სკოლების რეაბილიტაცია/ენერგოეფექტურობის გაზრდის პროექტი

18 ოქტომბერი 2016

2016 წლის 18 ოქტომბერს, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა და ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის (CEB) სახელით ქვეყნის მთავარმა მენეჯერმა, ვიტომირ მაილს რაგუზმა (Vitomir Miles Raguz) ხელი მოაწერეს სასესხო და საგრანტო შეთანხმებებს „თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაზრდის პროექტის“ დასაფინანსებლად.

შეთანხმებების ფარგლებში, საქართველოსთვის გამოყოფილი იქნება 20 მილიონი ევროს ოდენობის რესურსი, საიდანაც 14 მილიონი ევრო ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი შეღავათიანი სესხია, ხოლო 6 მილიონი ევრო აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პარტნიორობის ფონდიდან (E5P) გამოყოფილი გრანტი.

აღნიშნული რესურსი, რომელსაც, ასევე, ემატება 2 მოლიონი ევროს ღირებულების საქართველოს თანამონაწილეობა, შესაძლებლობას გვაძლევს განხორციელდეს თბილისის 25-მდე საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია-გამაგრება და აღნიშნულ სკოლებში ენერგოეფექტურობის გაზრდა. პროექტის მთავარი ამოცანაა, გაუმჯობესდეს სასწავლო გარემო, სკოლის მოსწავლეთა უსაფრთხოება და პედაგოგთა სამუშაო პირობები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პროექტს ექნება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტი; გაუმჯობესდება შერჩეული/გარემონტებული სკოლების მდგრადობა; შემცირდება თბილისის სკოლების ინფრასტრუქტურული მოწყვლადობა სეისმური აქტივობების მიმართ; სულ მცირე 40%-ით შემცირდება ენერგიის მოხმარება შენობებში.

ეს არის პირველი პროექტი, რომელიც CEB-ის დაფინანსებით განხორციელდება საჯარო სექტორში, ხოლო მეორე პროექტი, რომელიც E5P-ს თანადაფინანსებით განხორციელდება. პირველი პროექტის ფარგლებში, E5P-ის ფონდიდან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) ერთად, გამოყოფილი გრანტით, მიმდინარეობს თბილისის ავტოპარკის განახლება.

აღნიშნული პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია და მას საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" განახორციელებს.

ხელმოწერის ცერემონიას დაესწრნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, დედაქალაქის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი შალუტაშვილი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი ფონდის კურატორი, მმართველი დირექტორი ალისტერ კლარკი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულების აუქციონის შედეგი

26.10.2016

2016 წლის 26 ოქტომბერს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაიყიდა 50 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 364-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 84 500 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 6.520 პროცენტით, მაქსიმალური 6.950 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 6.866 პროცენტითგანისაზღვრა.

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უცვლელად 6.5 პროცენტზე ინარჩუნებს

26.10.2016

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2016 წლის 26 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6.5 პროცენტს შეადგენს.

მაკროეკონომიკური პროგნოზის მიხედვით, სუსტი ერთობლივი მოთხოვნა და ინფლაციის შემცირებული მოლოდინები მიუთითებს საშუალოვადიან პერიოდში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ნეიტრალურ დონემდე შემცირების საჭიროებაზე. თუმცა, წინა პერიოდებში პოლიტიკის განაკვეთის შემცირება ჯერ არ არის სრულად ასახული ეკონომიკაზე, ამიტომ, მიზანშეწონილია, ნორმალიზების პოლიტიკის თანდათანობითი განხორციელება. სხვა თანაბარ პირობებში, არსებული პროგნოზის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ შემდეგი ორი კვარტალის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6 პროცენტამდე შემცირდება.

არსებული პროგნოზებით, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს 2017 წლის მეორე ნახევარში დაუბრუნდება. სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ცვლილებამ 0.1 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის შემცირებას სუსტი ერთობლივი მოთხოვნა, შემცირებული მოლოდინები და საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო ჯგუფებზე ფასების კლება განაპირობებს. გარდა ამისა, წლის დასაწყისიდან ინფლაციის მკვეთრი ვარდნა მნიშვნელოვანწილად საბაზო ეფექტით იყო განპირობებული.

საგარეო შოკების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე შესუსტდა. საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის კლების ტემპი თანდათანობით შემცირდა და სექტემბერში ზრდა დაფიქსირდა, რამაც სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. პოზიტიური ტენდენცია გრძელდება მომსახურების ექსპორტის, კერძოდ კი ტურიზმის დარგში. ტურისტული ვიზიტების მატების შესაბამისად გაზრდილია ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიც.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებისადმი ნდობის ზრდამ გამოიწვია ლარის ცვლად განაკვეთიან სესხებზე მოთხოვნის მატება, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მონეტარული პოლიტიკის ეკონომიკაზე გადაცემის მექანიზმის გაუმჯობესებას, რაც ერთობლივ მოთხოვნის და ზოგადად ეკონომიკის გაჯანსაღებას უწყობს ხელს. მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის გაუმჯობესება, არსებული განაკვეთებით მონეტარული პოლიტიკის შერბილების დამატებით ეფექტს ქმნის. შესაბამისად, ამ ეტაპზე ეროვნულმა ბანკმა მიზანშეწონილად მიიჩნია პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვება.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2016 წლის 14 დეკემბერს გაიმართება.

დეპოზიტების მიმდინარე ტენდენციების შესახებ

25.10.2016

საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2016 წლის პირველი ოქტომბრისათვის 14.9 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 346.3 მლნ ლარით ანუ 2.4 პროცენტით მეტია პირველი სექტემბრისათვის არსებულ მაჩვენებელზე (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე ზრდამ შეადგინა 1.6 პროცენტი). სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ვადიანი დეპოზიტების ზრდას 95.4 მლნ ლარით ანუ 1.2 პროცენტით (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე ზრდამ შეადგინა 0.3 პროცენტი), ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები გაიზარდა 250.9 მლნ ლარით, ანუ 4.0 პროცენტით (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე გაიზარდა 3.4 პროცენტით).

დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის 30.81 პროცენტი შეადგინა - პირველი სექტემბრის მდგომარეობასთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 0.02 პროცენტული პუნქტით მეტი.

ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 4.5 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 8.5 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 3.5 პროცენტი.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 83.9 პროცენტი, ხოლო ევროს წილმა 13.1 პროცენტი შეადგინა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების შესახებ

25.10.2016

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), 2016 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით 74.0 მლნ ლარით (0.5 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.2 პროცენტით შემცირდა) და მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის 16.5 მლრდ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 150.1 მლნ ლარით (2.6 პროცენტით) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა შემცირდა 76.1 მლნ ლარით (0.7 პროცენტით; გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე შემცირდა 1.8 პროცენტით).

რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2016 წლის სექტემბრის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 2.0 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 11.2 პროცენტით მეტი), ხოლო უცხოური ვალუტით 5.6 მლრდ ლარის (0.9 პროცენტით ნაკლები) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 2.0 პროცენტით ნაკლები).

2016 წლის სექტემბრის განმავლობაში 2.1 პროცენტით ანუ 171.2 მლნ ლარით გაიზარდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის 8.3 მლრდ ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა 36.51 პროცენტი შეადგინა. პირველი სექტემბრის მდგომარეობასთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, მთლიანი სესხების ლარიზაცია 0.99 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობა

25.10.2016

2016 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 17 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 15 - საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 1 - უცხოური ბანკის ფილიალით. სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 0.3 მლრდ ლარით, ანუ 1.1 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.4 პროცენტით გაიზარდა) და 26.0 მლრდ ლარი შეადგინა.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 3.8 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 14.8 პროცენტია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფულადი გზავნილები სექტემბერში

13.10.2016

2016 წლის სექტემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 100.2 მლნ აშშ დოლარი, ანუ 231.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 13.1 პროცენტით (11.6 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2015 წლის სექტემბერის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 90.5 პროცენტი იმ 11 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ სექტემბერში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 11 ქვეყანაზე გასული წლის სექტემბერში მთელი ფულადი გზავნილების 88.5 პროცენტი მოდიოდა.

	ფულადი გზავნილების მოცულობა	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში,%	
	სექტემბერი, 2016, მლნ აშშ დოლარი	სექტემბერი, 2015	სექტემბერი, 2016
სულ	100.2	100.0	100.0
ევროკავშირის ქვეყნები, სულ	31.2	29.0	31.1
მათ შორის:			
საბერძნეთი	10.8	7.5	10.8

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

იტალია	10.0	10.2	10.0
გერმანია	2.5	2.8	2.5
ესპანეთი	2.4	2.8	2.4
გაერთიანებული სამეფო	1.9	1.5	1.9
დანარჩენი ქვეყნები, სულ	69.0	71.0	68.9
მათ შორის:			
რუსეთი	34.9	41.5	34.9
აშშ	12.2	9.9	12.2
თურქეთი	7.4	5.8	7.4
ისრაელი	5.8	3.3	5.8
უკრაინა	1.5	1.9	1.5
აზერბაიჯანი	1.1	1.3	1.1

2016 წლის სექტემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 15.3 მლნ აშშ დოლარი (35.5 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 13.8 მლნ აშშ დოლარისა (33.1 მლნ ლარისა) გასული წლის სექტემბერში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №474

2016 წლის 19 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში (სსმ, III ნაწილი, 2009 წელი, მუხლი 430) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 71-ე **მუხლის** მე-2 **პუნქტის** „ვ“ **ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ვ) ხაზობრივი ნაგებობები – II კატეგორიის (ქალაქის ქუჩის ქსელი) წყალსადენი, II კატეგორიის წყალარინების მილი, III კატეგორიის სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობა, III კატეგორიის საავტომობილო გზა, II კატეგორიის ქუჩა, II კატეგორიის გაზსადენი, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის გაზმომარაგებისთვის, წარმადობით 500 m^3/სთ - მდე;“.

2. 71-ე **მუხლის** მე-2 **პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის** „კ“ **ქვეპუნქტი**:

„კ) მაგისტრალური გაზსადენის გაზგამანაწილებელი სადგური, წარმადობით 500 m^3/სთ-მდე.“.

3. 75-ე **მუხლის** მე-2 **პუნქტის**:

ა) „ე“ **ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ე) ხაზობრივი ნაგებობები – II კატეგორიის ნავთობსადენი, II კატეგორიის გაზსადენი, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის გაზმომარაგებისთვის, 500 მ³/სთ და ზევით წარმადობით, III კატეგორიის ელექტროგადამცემი ხაზი, II კატეგორიის სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობა, II კატეგორიის რკინიგზა, II კატეგორიის საავტომობილო გზა, I კატეგორიის ქუჩა;“;

ბ) „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ბუნებრივი ან/და გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზგასამართი სადგურები (გარდა მოძრავი სადგურისა);

ლ) მაგისტრალური გაზსადენის გაზგამანაწილებელი სადგური, წარმადობით 500 მ³/სთ-დან 3000 მ³/სთ-მდე.“.

4. **79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა.ე) ჰაერის დაყოფის პროდუქტების (ჟანგბადი, აზოტი, არგონი, კრიპტონი, ქსენონი და ნეონჰელიუმის ნარევი) მწარმოებელი საწარმოები;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №473

2016 წლის 19 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2013, 470230000.10.003.017200) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლის „თ¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„თ[1]) საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებისა და მათი სტრუქტურული ერთეულებისათვის, ასევე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის პროგრამული მომსახურების მიწოდების ვალდებულება შეწყდება 2017 წლის 1 იანვრიდან, ხოლო 2017 წლის 1 იანვრამდე დაუშვებელია ორმაგი საბიუჯეტო დანახარჯების გაწევა ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებულ ისეთ პირობებზე, რომელიც უპირატესად ფინანსდება ამ ორგანიზაციასა და კერძო სადაზღვევო კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, დადგენილების №1 დანართის მე-2 მუხლის პირობების გათვალისწინებით;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №463

2016 წლის 10 ოქტომბერი, ქ. თბილისი

მომსახურებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა შეძენა საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისაგან (გარდა თიზ-ის საწარმოსა) არ ეკრძალება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს

მუხლი 1

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს მომსახურებათა ნუსხა, რომელთა შეძენა საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისაგან (გარდა თიზ-ის საწარმოსა) არ ეკრძალება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საერთაშორისო საწარმოს სტატუსის მქონე საწარმოებისათვის მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების სახეობათა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №416 დადგენილება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

მომსახურებათა ნუსხა, რომელთა შეძენა საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისაგან (გარდა თიზ-ის საწარმოსა) არ ეკრძალება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს

1. ავტოტექნიკური მომსახურება.

2. სწრაფი კვების მომსახურება.

3. საფოსტო მომსახურება.

4. სამედიცინო მომსახურება.

5. სარეკლამო მომსახურება.

6. ლაბორატორიული მომსახურება.

7. საპროექტო, დიზაინერული მომსახურება.

8. საექსპედიტორო მომსახურება.

9. სახანძრო მომსახურება.

10. ექსპერტიზის მომსახურება.

11. დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურება.

12. ძირითადი საშუალებების შეკეთების მომსახურება.

13. ზონის დანიშნულებით გადაადგილებულ, აგრეთვე ზონიდან გატანილ საქონელზე შენახვის მომსახურება.

14. პირველ – მე-13 პუნქტებში ჩამოთვლილი მომსახურებების გარდა, ნებისმიერი სახის მომსახურება, თუ ამ სახეობათა მომსახურებ(ებ)ის მთლიანი ღირებულება (დღგ-ის გარეშე) არ აღემატება თიზ-ის საწარმოს წლიური შემოსავლის ან ხარჯის (მისი არჩევით) 2%-ს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №447

2016 წლის 26 სექტემბერი, ქ. თბილისი

„ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/09/2015, 430210000.10.003.018862) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის:

1. **მე-3 პუნქტის**:

ა) **„ა“ ქვეპუნქტის**:

ა.ა) **„ა.ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ა^1“ ქვეპუნქტი**:

„ა.ა^1) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 2.20-ით;“;

ა.ბ) **„ა.ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ბ^1“ ქვეპუნქტი**:

„ა.ბ^1) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 2.19-ით;“;

ა.გ) **„ა.გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.გ^1“ ქვეპუნქტი**:

„ა.გ^1) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 2.16-ით;“;

ა.დ) **„ა.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.დ^1“ ქვეპუნქტი**:

„ა.დ^1) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 2.12-ით;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ე) „ა.ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ა.ე[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 2.08-ით;“;

ა.ვ) „ა.ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ზ“ ქვეპუნქტი:

„ა.ზ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 2.05-ით;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის:

ბ.ა) „ბ.ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.ა[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 2.64-ით;“;

ბ.ბ) „ბ.ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.ბ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 2.63-ით;“;

ბ.გ) „ბ.გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.გ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.გ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 2.59-ით;“;

ბ.დ) „ბ.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.დ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.დ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 2.53-ით;“;

ბ.ე) „ბ.ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.ე[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 2.50-ით;“;

ბ.ვ) „ბ.ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ზ“ ქვეპუნქტი:

„ბ.ზ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 2.49-ით;“.

2. მე-4 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ე) „ა.ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ა.ე[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 2.08-ით;“;

ა.ვ) „ა.ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ზ“ ქვეპუნქტი:

„ა.ზ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 2.05-ით;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის:

ბ.ა) „ბ.ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.ა[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 2.64-ით;“;

ბ.ბ) „ბ.ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.ბ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 2.63-ით;“;

ბ.გ) „ბ.გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.გ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.გ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 2.59-ით;“;

ბ.დ) „ბ.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.დ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.დ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 2.53-ით;“;

ბ.ე) „ბ.ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.ე[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 2.50-ით;“;

ბ.ვ) „ბ.ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ზ“ ქვეპუნქტი:

„ბ.ზ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 2.49-ით;“.

2. მე-4 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ა) „ა.ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ა.ა[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 660 ლარით;“;

ა.ბ) „ა.ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ა.ბ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 657 ლარით;“;

ა.გ) „ა.გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.გ[1]“ ქვეპუნქტი:

„ა.გ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 648 ლარით;“;

ა.დ) „ა.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.დ[1]“ ქვეპუნქტი:

„ა.დ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 636 ლარით;“;

ა.ე) „ა.ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ა.ე[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 624 ლარით;“;

ა.ვ) „ა.ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ზ“ ქვეპუნქტი:

„ა.ზ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 615 ლარით;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის:

ბ.ა) „ბ.ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.ა[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 792 ლარით;“;

ბ.ბ) „ბ.ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.ბ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 789 ლარით;“;

ბ.გ) „ბ.გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.გ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ.გ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 777 ლარით;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.დ) „ბ.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.დ¹“ ქვეპუნქტი:

„ბ.დ¹) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 759 ლარით;“;

ბ.ე) „ბ.ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ე¹“ ქვეპუნქტი:

„ბ.ე¹) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 750 ლარით;“;

ბ.ვ) „ბ.ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ზ“ ქვეპუნქტი:

„ბ.ზ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 738 ლარით;“.

3. **მე-7 პუნქტის:**

ა) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა¹“ ქვეპუნქტი:

„ა¹) „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა¹“ და „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა¹“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 80 000.00 ლარით;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“ ქვეპუნქტი:

„ბ¹) „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ¹“ და „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ¹“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 73 000.00 ლარით;“;

გ) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“ ქვეპუნქტი:

„გ¹) „ა“ ქვეპუნქტის „ა.გ¹“ და „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.გ¹“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 65 000.00 ლარით;“;

დ) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ¹“ ქვეპუნქტი:

„დ¹) „ა“ ქვეპუნქტის „ა.დ¹“ და „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ¹“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 57 000.00 ლარით;“;

ე) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე¹“ ქვეპუნქტი:

„ე¹) „ა“ ქვეპუნქტის „ა.ე¹“ და „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ე¹“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 49 000.00 ლარით;“;

ვ) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) „ა“ ქვეპუნქტის „ა.ზ“ და „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 41 000.00 ლარით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. მე-12 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გავრცელდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №461

2016 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2014, 240110000.10.003.018341) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ბიზნესოპერატორის აღიარების წესი“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი

„ბიზნესოპერატორის აღიარების წესი

მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო

1. ბიზნესოპერატორის აღიარების წესი (შემდგომში – წესი) ადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის აღიარების ზოგად პრინციპებსა და პროცედურებს.

2. სავალდებულოა იმ ბიზნესოპერატორის აღიარება, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია:

ა) ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასთან ან/და გადამუშავებასთან, გარდა იმ ბიზნესოპერატორისა, რომელიც:

ა.ა) ახორციელებს ოჯახურ წარმოებას;

ა.ბ) ახორციელებს პირველად წარმოებას;

ა.გ) ტრადიციული მეთოდების გამოყენებით ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას;

ა.დ) მაღალმთიან რეგიონში ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას;

ა.ე) ახორციელებს პირველადი პროდუქტის პირდაპირ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისათვის ან საცალო ვაჭრობის პუნქტისათვის, რომელიც უშუალოდ ამარაგებს საბოლოო მომხმარებელს და რომელსაც სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის (შემდგომში – კოდექსი) შესაბამისად აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი;

ა.ვ) ახორციელებს ფერმაში დაკლული ფრინველის და ბოცვრისნაირების ხორცის, ნანადირევი გარეული ცხოველისა და ფრინველის ან ნანადირევის ხორცის პირდაპირ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისათვის ან საცალო ვაჭრობის პუნქტისათვის, რომელიც უშუალოდ ამარაგებს საბოლოო მომხმარებელს და რომელსაც კოდექსის შესაბამისად აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი;

ა.ზ) ახორციელებს ისეთი ცხოველური წარმოშობის სურსათის შენახვას, რომელიც არ საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტემპერატურის კონტროლს;

ა.თ) ახორციელებს საცალო ვაჭრობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საცალო ვაჭრობა ხორციელდება ცხოველური წარმოშობის სურსათის სხვა საწარმოსთვის მიწოდების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.თ.ა) საქმიანობა მოიცავს მხოლოდ ცხოველური წარმოშობის სურსათის შენახვას ან ტრანსპორტირებას;

ა.თ.ბ) ცხოველური წარმოშობის სურსათი მხოლოდ ერთი საცალო ვაჭრობის პუნქტიდან მეორე საცალო ვაჭრობის პუნქტს მიეწოდება ადგილობრივად;

ბ) იმ ცხოველის საკვების წარმოებასთან ან/და გადამუშავებასთან, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. ბიზნესოპერატორის აღიარებას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

4. სააგენტო უფლებამოსილია, ბიზნესოპერატორის მოთხოვნის შემთხვევაში, აღიაროს ისეთი საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება სავალდებულო აღიარებას.

მუხლი 2. აღიარების ზოგადი პრინციპები

1. აკრძალულია აღიარების ან პირობითი აღიარების გარეშე იმ ბიზნესოპერატორის საქმიანობა, რომელიც აღიარებას ექვემდებარება.

2. ბიზნესოპერატორის აღიარება ან პირობით აღიარება ხორციელდება სააგენტოს მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგების მიხედვით.

მუხლი 3. აღიარების პროცედურები

1. ბიზნესოპერატორი აღიარებისთვის განცხადებით მიმართავს სააგენტოს.

2. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ბიზნესოპერატორის საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი, ეკონომიკური საქმიანობის ადგილი (მისამართი), ეკონომიკური საქმიანობის სახე (სექცია, განყოფილება, ჯგუფი, კლასი, ქვეკლასი).

3. განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტომ ადგილზე უნდა განახორციელოს ბიზნესოპერატორის ინსპექტირება.

4. ინსპექტირების შედეგების მიხედვით, სააგენტო ახორციელებს ბიზნესოპერატორის აღიარებას, პირობით აღიარებას ან უარს აცხადებს ბიზნესოპერატორის აღიარებაზე ინსპექტირების დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში.

5. სააგენტო ბიზნესოპერატორს აღიარებას ანიჭებს უვადოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. თუ ბიზნეოპერატორი ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დამტკიცებული ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (შემდგომში – კლასიფიკატორი) სხვადასხვა ჯგუფში მითითებული ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას/გადამუშავებას, ბიზნესოპერატორის აღიარება ხორციელდება ამ კლასიფიკატორის შესაბამისი ჯგუფების მიხედვით.

7. თუ ინსპექტირების შედეგებით დადგენილი იქნება, რომ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ საწარმოს ინფრასტრუქტურა, მოწყობილობები და აღჭურვილობა სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო ბიზნესოპერატორს 6 თვის ვადით ანიჭებს პირობით აღიარებას და აძლევს მითითებებს შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად.

8. პირობითი აღიარების მინიჭებიდან 6 თვის შემდეგ, სააგენტო ახორციელებს განმეორებით ინსპექტირებას, რომლის საფუძველზე:

ა) ბიზნესოპერატორს უგრძელდება პირობითი აღიარება, თუ პირობითი აღიარების მინიჭებიდან განმეორებითი ინსპექტირების განხორციელებამდე ბიზნესოპერატორის მიერ არ არის შესრულებული სააგენტოს მითითებები და მისი საქმიანობა სრულად ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) ბიზნესოპერატორს ენიჭება აღიარება, თუ მისი საქმიანობა სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

9. პირობითი აღიარების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. თუ გემი-საყინულე ან გემი-ქარხანა დაცურავს საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ, ასეთი ბიზნესოპერატორის პირობითი აღიარების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 18 თვეს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განმეორებითი ინსპექტირების საფუძველზე, ბიზნესოპერატორი წყვეტს საქმიანობას ან ენიჭება აღიარება.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული პირობითი აღიარების ვადა შეიძლება გაგრძელდეს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილი შეუსაბამობები არ წარმოადგენს რისკს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის და ბიზნესოპერატორი იძლევა გარანტიას, რომ ამ გონივრული ვადის განმავლობაში უზრუნველყოფს გაცემული მითითებების შესრულებას.

11. თუ ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით განსაზღვრული ვადების განმავლობაში ბიზნესოპერატორთან განხორციელდა ინსპექტირება და ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ბიზნესოპერატორს ენიჭება აღიარება ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

12. სააგენტო აღიარებულ ბიზნესოპერატორს, მათ შორის, პირობით აღიარებულ ბიზნესოპერატორს, ანიჭებს აღიარების ნომერს, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის/ქალაქის ინდექსს და კლასიფიკატორის შესაბამისი ჯგუფის ნომერს.

13. სააგენტო აწარმოებს აღიარებული ბიზნესოპერატორების რეესტრს და უზრუნველყოფს მის განახლებას.

14. ინფორმაცია აღიარებული ბიზნესოპერატორის საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, სააგენტოს მიერ მინიჭებული აღიარების ნომრის შესახებ, ასევე წარმოებული/გადამუშავებული ცხოველური სურსათის სახეობების შესახებ, არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის.

მუხლი 4. აღიარების გაუქმება და აღდგენა

1. ბიზნესოპერატორის აღიარების გაუქმება ხდება, თუ:

ა) ბიზნესოპერატორს, ინსპექტირების საფუძველზე, ერთი წლის განმავლობაში 2-ჯერ ექნება შეჩერებული საწარმოო პროცესი;

ბ) ბიზნესოპერატორი მიმართავს სააგენტოს აღიარების გაუქმების მოთხოვნით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორს გაუქმებული აქვს აღიარება და ის განცხადებით მიმართავს სააგენტოს აღიარების აღდგენის შესახებ, განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტომ ადგილზე უნდა განახორციელოს ბიზნესოპერატორის ინსპექტირება. ბიზნესოპერატორს ენიჭება აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა, ინსპექტირების შედეგების მიხედვით, სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უარი ეთქმება აღიარებაზე.

მუხლი 5. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები

1. ბიზნესოპერატორი ვალდებულია:

ა) ითანამშრომლოს სააგენტოსთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) შეწყვიტოს საქმიანობა, თუ სააგენტო:

ბ.ა) გაუუქმებს აღიარებას;

ბ.ბ) პირობითი აღიარების შემდეგ არ მიანიჭებს აღიარებას.

2. ბიზნესოპერატორმა სააგენტოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოო პროცესში ცვლილებების ან/და საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 6. გასაჩივრების წესი

ბიზნესოპერატორის აღიარების, პირობითი აღიარების, აღიარების აღდგენაზე უარის თქმის ან აღიარების გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2017

2016 წლის 30 სექტემბერი, ქ. თბილისი

რიგ საწარმოებზე რიცხული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების შესახებ

„საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის წინადადების საფუძველზე:

1. „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს „დემეტრე 96“-ზე (ს/ნ: 205221614) 2016 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით რიცხული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების (ქონებისა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გარეშე), სულ – 971 838.61 ლარის რესტრუქტურიზაცია 60 თვის ვადით (24 თვე გაყინვა, 36 თვე გადავადება).

2. „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №2755-Iს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ი/მ „ნაირა სურმანიძეზე“ (ს/ნ: 147003514, პ/ნ: 61004005479) 2016 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით რიცხული სასესხო დავალიანების – 62 475.12 ლარის რესტრუქტურიზაცია 60 თვის ვადით (24 თვე გაყინვა, 36 თვე გადავადება), საიდანაც 94.03 ლარი წარმოადგენს „შპს „LS&TI“-სა და რიგ ინდივიდუალურ მეწარმეებზე რიცხული ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის №1961 განკარგულების შესაბამისად, რესტრუქტურიზებული სესხიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ რიცხულ სასესხო დავალიანებას (რესტრუქტურიზაციის პერიოდში დარიცხულ სარგებელს), ხოლო 62 381.09 ლარი – სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ი/მ „ნაირა სურმანიძეს“ (ს/ნ: 147003514, პ/ნ: 61004005479) შორის 2008 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული NCCA-064 სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიმართ რიცხულ სასესხო დავალიანებას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. ი/მ „ნაირა სურმანიძემ“ (ს/ნ: 147003514, პ/ნ: 61004005479), „სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, წარადგინოს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება (შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით), რომლის ოდენობა უნდა აღემატებოდეს რესტრუქტურიზებული სასესხო დავალიანების და მასზე რესტრუქტურიზაციის პერიოდში დასარიცხი სარგებლის ოდენობას.

4. „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „აქსისს“ (ს/ნ: 211393357) ვადამდე შეუწყდეს ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია, საწარმოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

5. „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „კ.ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, როგორც უიმედო სესხი, შპს „იმედს“ (ს/ნ: 224614031) ჩამოეწეროს 2016 წლის 16 თებერვლის მდგომარეობით რიცხული 852 752.26 ლარის (ძირითადი თანხა – 717 279.76 ლარი, პროცენტი – 135 472.50 ლარი) ოდენობის სასესხო დავალიანება.

6. „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „კ.ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, როგორც უიმედო სესხი, სს „ენერგია XXI“-ს (ს/ნ: 205226931) ჩამოეწეროს 50 022 701.96 ლარის ოდენობის სასესხო დავალიანება.

7. ამ განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მეწარმე სუბიექტების ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებისა და სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის ვადები განისაზღვროს „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დანართის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი
გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №230

2016 წლის 22 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. **მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის პროცედურები შეიძლება განხორციელდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანამდე – არაუადრეს 45 კალენდარული დღისა ან შემოტანის შემდეგ – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში.“.

2. **33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ე) თუ საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელებზე საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, საქონლის გაშვებამდე სრულად გადახდილია იმპორტის გადასახდელები ან შემოსავლების სამსახურის უფროსის/უფროსის მოადგილის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება გარანტიის წარდგენისა და იმპორტის გადასახდელების გადახდის ვალდებულების შეუსრულებლად საქონლის გაშვებაზე;“.

3. **37-ე მუხლის მე-13 და 13^1 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„13. სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის მომენტიდან, ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – „საბაჟო დეპარტამენტში საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადის“ დამოწმების მომენტიდან, ხოლო ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – დოკუმენტების ელექტრონულად წარდგენის მომენტიდან, საქონელი ჩაითვლება გაცხადებულ სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანამდე წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან გასულია 45 კალენდარული დღე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

13[1]. წინასწარ (საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე) დეკლარირებული საქონლის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 45 კალენდარული დღის შემდეგ შემოტანის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს საქონლის ხელახალი დეკლარირება.“.

4. მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანამდე წარდგენილი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა არ განხორციელდა დეკლარაციის რეგისტრაციიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში, დეკლარაცია ჩაითვლება ძალადაკარგულად.“.

5. 51-ე მუხლის:

ა) მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) თუ ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ღონისძიებების შედეგად ადგილი არა აქვს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევას და თუ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან არ გასულა 45 კალენდარული დღე, საბაჟო გამშვები პუნქტი ახორციელებს ASYCUDA-ს გამოყენებით დეკლარაციის დამუშავებას და საქონელი გაიშვება შესაბამისი დერეფნის გამოყენებით.“;

ბ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ზედმეტად გადახდილი თანხის არსებობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსი/უფროსის მოადგილე უფლებამოსილია, დეკლარანტის მოთხოვნით, შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დასკვნის საფუძველზე, 5 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის ამავე პუნქტში მითითებული პირობების შეუსრულებლად გაშვების თაობაზე. ამასთან, აღნიშნულ საქონელზე იმპორტის გადასახდელები გადაიხდება ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.“.

6. 90-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ა.ბ) სამართალდარღვევის გამოვლენიდან უწყვეტი 6 თვის გასვლა;“.

7. 92-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის გაუქმების შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების გამოცემიდან 3 თვის განმავლობაში, სტატუსგაუქმებული პირის განცხადება „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მისაღებად არ განიხილება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის შესაბამისი ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება და არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება გადასახადის გადამხდელის აღნიშნული პასუხისმგებლობისაგან საგადასახადო სანქციისაგან გათავისუფლების თაობაზე ან საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო სანქციისაგან გათავისუფლების თაობაზე.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8. 93-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) წინასწარ – საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე, არაუადრეს 45 კალენდარული დღისა, ან საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა და ისარგებლოს 94-ე მუხლით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით;“.

9. 94-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სატრანსპორტო საშუალების, საქონლის გამომგზავნისა და მიმღების იდენტიფიცირების შემთხვევაში, თუ ადგილი არა აქვს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევას და საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან არ გასულა 45 კალენდარული დღე, საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი ASYCUDA-ს გამოყენებით ახორციელებს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის დამუშავებას, რის შემდეგაც დეკლარაციისათვის განისაზღვრება შესაბამისი დერეფანი.“.

10. 106-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული საქონლის განკარგვის ღონისძიებები (აღრიცხვა, შენახვა, შეფასება, განადგურება, განაწილება ან/და რეალიზაცია) ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე პრივატიზების, რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის №125 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.“.

11. 110-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 110. ფიზიკური პირისათვის გამოგზავნილი, ასევე საფოსტო გზავნილით, მგზავრის ბარგით ან/და ხელბარგით ან/და სხვა საშუალებით შემოტანილი/გასატანი საქონლის განადგურება 1. ფიზიკური პირისათვის გამოგზავნილი, ასევე საფოსტო გზავნილით ან მგზავრის მიერ ბარგით ან/და ხელბარგით ან/და სხვა საშუალებით, კანონმდებლობის დარღვევით შემოტანილი/გასატანი ან/და არასატარიფო ღონისძიებას დაქვემდებარებული საქონელი, რომელზედაც ვერ ხერხდება შესაბამისი ნებართვის/სერტიფიკატის/სამედიცინო დოკუმენტის/რეცეპტის წარდგენა ან/და საქონლის უკან დაბრუნება, ექვემდებარება ჩამორთმევას და განადგურებას ან/და სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლის განადგურება ხორციელდება:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) სპეციალურ დანადგარში (ღუმელში) დაწვით;

ბ) სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე დამარხვით;

გ) სხვა მეთოდის გამოყენებით.

3. ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალება), მათ შორის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალების (ნარკოტიკული საშუალებისა და ფარმაკოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული ფსიქოტროპული ნივთიერების სუბსტანციის გარდა) განადგურება ხორციელდება სპეციალურ ღუმელში (ინსენერატორში) დაწვით.

4. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლის (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საქონლისა) განადგურება ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის, გაფორმების ეკონომიკური ზონის უფროსის ან საბაჟო დეპარტამენტის საქონლის გაფორმების სამმართველოს უფროსის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჯგუფის მიერ.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის განადგურება ხორციელდება საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჯგუფის მიერ.

6. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ადგენს „საქონლის განადგურების ოქმს“ (დანართი №XXIV–02), რომლის შევსებისას განადგურებული საქონლის დასახელება მიეთითება სეს ესნ-ის ოთხნიშნა კოდის დონეზე, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის შემთხვევაში, საქონლის სავაჭრო დასახელებასთან ერთად მიეთითება სეს ესნ-ის შესაბამისი სასაქონლო პოზიციის ოთხნიშნა კოდი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №249

2016 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით (სსმ III, 03.08.2005წ., №91, მუხ.1035) დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის“ (დანართი №1) მე-2 პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ელექტრონული საჯარიმო ქვითრისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ელექტრონული ფორმისა, ქ.თბილისის მერის ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა);“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №250

2016 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, მუხლი 2552) დამტკიცებული წესის 82-ე მუხლის:

1. **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისას შედგება ოქმი (დანართი №3[1]). ოქმს აქვს ინდივიდუალური ნომერი და შესაძლებელია შედგეს როგორც წერილობითი (რომელიც წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას), ისე ელექტრონული ფორმით, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.“.

2. **მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4. ოქმს ხელს აწერენ: ოქმის შემდგენელი პირი (გარდა ელექტრონული ფორმით შედგენილი ოქმისა), სამართალდამრღვევი, აგრეთვე დამსწრე მისი არსებობის შემთხვევაში. ელექტრონული ფორმით შედგენილ ოქმზე სამართალდამრღვევის ხელმოწერა შესაძლებელია განხორციელდეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ელექტრონული ხელმოწერით, რომელიც არის მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე. ელექტრონული ფორმით ოქმი დგება ერთ ეგზემპლარად, რომელიც ამოიბეჭდება და საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობებთან ერთად დაუყოვნებლივ ეგზავნება განხილვაზე უფლებამოსილ პირს (ორგანოს) და დაერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს. ელექტრონული ფორმით შედგენილი ოქმი ელექტრონულად ეგზავნება სამართალდამრღვევ პირს. დასაშვებია ელექტრონული ფორმით შედგენილი ოქმის ამობეჭდვა და გაგზავნა სამართალდამრღვევი პირისათვის. ამასთან,

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დასაშვებია ელექტრონული ფორმით შედგენილი ოქმის ამობეჭდვა და ჩაბარება სამართალდამრღვევი პირისათვის, თუ იგი ესწრება მის შედგენას.“.

3. **მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„8. წერილობითი ოქმი დგება 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან:

ა) ერთი – საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობებთან ერთად, დაუყოვნებლივ ეგზავნება განხილვაზე უფლებამოსილ პირს (ორგანოს) და დაერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს;

ბ) მეორე – ბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელის მოწერით ოქმის ეგზემპლარის ჩაბარების შესახებ, ხოლო როცა სამართალდამრღვევი არ ესწრება ოქმის შედგენას – ოქმი გაიგზავნება ოქმის შემდგენისათვის ცნობილ მისამართზე;

გ) მესამე – რჩება ოქმის შემდგენელთან.

9. წერილობითი ოქმი ივსება მუქი ფერის ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი, ძველი გადაიხაზება ჯვარედინად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №251

2016 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 1

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-14 მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:“.

2. ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს ინსტრუქცია მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის საფუძველზე და განსაზღვრავს საბიუჯეტო ორგანიზაციების (შემდგომში – „ორგანიზაციების“) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების (შემდგომში „აღრიცხვა-ანგარიშგება“) მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.“;

ბ) მე-3 მუხლის:

ბ.ა) პირველ პუნქტს:

ბ.ა.ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ[1]“ ქვეპუნქტი:

„დ)[1] ბუღალტერი – ორგანიზაციაში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებაზე ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი, დაქირავებული ან ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული სხვა კომპეტენტური პირი;";

ბ.ა.ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ[2]“ ქვეპუნქტი:

„დ)[2] ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები – პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, სააღრიცხვო პოლიტიკით/შიდა აღრიცხვის პროცედურებით განსაზღვრული დოკუმენტები და მაგროვებელი დოკუმენტები;“;

ბ.ა.გ) დაემატოს „პ[1]“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„პ)[1] მაგროვებელი დოკუმენტები – სააღრიცხვო რეგისტრები, ჟურნალები, „მთავარი წიგნი“ და სხვა მაგროვებელი დოკუმენტები.“;

ბ.ბ) პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) ნაერთი (კრებსითი) დოკუმენტები – ერთ კონკრეტულ ეკონომიკურ მოვლენასთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები (გარდა მაგროვებელი დოკუმენტებისა);";

გ) თავი II ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

,,თავი II

ზოგადი დებულებები

მუხლი 4. აღრიცხვის და ანგარიშგების ორგანიზება

1. ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებენ ამ ინსტრუქციით განსაზღვრული მეთოდოლოგიის, ანგარიშთა გეგმისა და ფინანსური ანგარიშგების ფორმების შესაბამისად.

2. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მეთოდოლოგიის დახვეწის მიზნით, ორგანიზაციებს უფლება აქვთ მოამზადონ რეკომენდაციები მოქმედ ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შესატანად და წარადგინონ ფინანსთა სამინისტროში დასამტკიცებლად.

3. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხორციელდება მატერიალური ფორმით ან ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით.

4. ორგანიზაციებში, სადაც მოქმედებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილი პირის მიერ სისტემაში შექმნილ დოკუმენტს/განხორციელებულ ქმედებას, მისთვის გადაცემული საუთენტიფიკაციო მონაცემების საშუალებით, აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ დოკუმენტს/მატერიალურ დოკუმენტზე განხორციელებულ ქმედებას.

5. ორგანიზაციაში ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტერი. ბუღალტრის შტატის არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ორგანიზაციის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადება განხორციელდეს დაქირავებული ბუღალტრის მიერ ან სხვა კომპეტენტური პირის მომსახურებით.

6. ორგანიზაციაში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელი. სააღრიცხვო პოლიტიკით/შიდა აღრიცხვის პროცედურებით დადგენილი ფორმით და წესით ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების (მათ შორის, ელექტრონული ფორმის) წარდგენა სავალდებულოა ორგანიზაციის ყველა სტრუქტურისა და მომუშავისათვის. ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის სტრუქტურ(ებ)ისა და მომუშავეების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებისა და მონაცემების სწორად გაფორმება და წარდგენა.

7. ეკონომიკური მოვლენების ამსახველ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებს ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით ხელს აწერენ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი (შემდგომში – ხელმძღვანელი) და ბუღალტერი ან ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკით/შიდა აღრიცხვის პროცედურებით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა პირები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8. სალაროს ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

9. ბუღალტერს არ ეკისრება პასუხისმგებლობა სხვა პირების მიერ შედგენილი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების ეკონომიკური მოვლენების ფაქტებთან შესაბამისობაზე.

10. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ მონაცემებს.

მუხლი 5. ბუღალტრის უფლება-მოვალეობები

1. ბუღალტრის უფლება-მოვალეობებია:

ა) აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებით მომუშავეთა ფუნქციების განსაზღვრა და მათი მუშაობის კოორდინირება;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) კონტროლი ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული პროგრამული კლასიფიკაციის მოთხოვნების დაცვით;

დ) კონტროლი ეკონომიკური მოვლენების შესახებ პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების დროულ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაფორმებაზე;

ე) ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვა ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით;

ვ) მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემლების დროული დარიცხვა და კონტროლი გაცემაზე;

ზ) იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ანგარიშსწორებათა სრული და დროული აღრიცხვა;

თ) ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ი) ამ ბრძანებით დამტკიცებული ფორმით, ფინანსური ანგარიშგების დადგენილ ვადებში შედგენა;

კ) მატერიალური/ელექტრონული ფორმის ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების/ფინანსური ანგარიშგებების დადგენილი წესით შენახვა;

ლ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

2. ბუღალტერს ეკრძალება აღრიცხვაში ასახვის მიზნით მიიღოს პირველადი ან ნაერთი (კრებსითი) დოკუმენტები ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. ასეთი დოკუმენტების შესახებ ბუღალტერი წერილობით აცნობებს საბიუჯეტო ორგანიზაციის ხელმძღვანელს. ხელმძღვანელისაგან აღნიშნული დოკუმენტების შესრულების შესახებ წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ ოპერაციების ასახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელს.

3. ბუღალტრის მიერ დაკავებული თანამდებობის დატოვების დროს, ან ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებაზე ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ხელშეკრულების დასრულების/გაუქმების შემთხვევაში, ბუღალტერმა ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები ან/და ფინანსური ანგარიშგებები უნდა გადასცეს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირ(ებ)ს, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 6. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

1. ორგანიზაციები სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას აწარმოებენ მატერიალური ფორმით ან ელექტრონულად, საინფორმაციო სისტემების მეშვეობით, ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით.

2. პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები და ნაერთი (კრებსითი) დოკუმენტები, შემოწმების და მიღების შემდეგ, ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით, სისტემატიზირდება და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აისახება იმ პერიოდის მაგროვებელ დოკუმენტებში, რომელსაც მოხდენის თარიღით მიეკუთვნება,

3. მაგროვებელი დოკუმენტების გამოყენების აუცილებლობა (გარდა „მთავარი წიგნისა“), ოპერაციების მოცულობიდან გამომდინარე, განისაზღვრება ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკით/შიდა აღრიცხვის პროცედურებით.

4. „მთავარი წიგნი“ იხსნება ყოველი წლის დასაწყისში გასული წლის საბოლოო ნაშთების – საწყისი ნაშთების სახით გადმოტანით.

5. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ჩანაწერების სისწორის კონტროლის მიზნით, ყოველი თვის ბოლოს ანალიზურ ანგარიშებზე ბრუნვები და ნაშთები უდარდება „მთავარი წიგნის“ შესაბამისი ანგარიშების ნაშთებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 7. არქივი

1. როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით არსებული ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები და ფინანსური ანგარიშგებები ორგანიზაციაში ინახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. მატერიალური ფორმით არსებული ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები და ფინანსური ანგარიშგებები ორგანიზაციის არქივში გადაცემამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა ინახებოდეს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის ქვეშ. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების და ფინანსური ანგარიშგებების ორგანიზაციის არქივში ჩაბარების ვადები და პერიოდულობა განისაზღვრება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3. ელექტრონული ფორმით არსებული ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები და ფინანსური ანგარიშგებები ინახება ორგანიზაციის საინფორმაციო ბაზაში, დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების და ფინანსური ანგარიშგებების დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე იქმნება დაკარგვის ან განადგურების მიზეზების შემსწავლელი კომისია. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების მოწვევა. კომისიის მუშაობის შედეგები ფორმდება აქტით, რომელიც მტკიცდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ.“;

დ) 42-ე მუხლის:

დ.ა) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აღრიცხვაში აისახება რეალური ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.“;

დ.ბ) მე-17 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ.გ) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. საანგარიშგებო თარიღისათვის, გადაანგარიშებას ექვემდებარება უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სავალუტო კურსის გამოყენებით, რომელთა არსებითი მახასიათებელი არის უფლება, მიიღო, ან ვალდებულება, რომ შეასრულო ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრული ოდენობა.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) 44-ე მუხლის:

ე.ა) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული არაფინანსური აქტივის ღირებულება გასული არაფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, სხვაობის თანხა აისახება მოთხოვნების შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და არაფინანსური აქტივის (1600-2000) შესაბამისი ანგარიშის კრედიტში. მოთხოვნების დაფარვა აისახება ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და მოთხოვნების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში.“;

ე.ბ) მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. თუ სხვაობის თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისი დებიტორული/კრედიტორული დავალიანების პატიება (ანულირება) მოხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სხვაობა აღიარდება სასაქონლო ფორმით მიღებულ ხარჯად/შემოსავლად კაპიტალური გრანტის ან სხვადასხვა ხარჯების/სხვა შემოსავლების სახით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №252

2016 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის:

ა) „ა.ა.გ[1]“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „ა.ა.გ[1]“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ა.გ[2]“ და „ა.ა.გ[3]“ ქვეპუნქტები:

„ა.ა.გ[2]) ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა;

ა.ა.გ[3]) ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა;“;

გ) „ა.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ე“ და „ა.ვ“ ქვეპუნქტები:

„ა.ე) მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების შემთხვევაში – იმპორტის წინასწარ დასაბუთებული თანხმობა;

ა.ვ) პრეკურსორის შემთხვევაში – წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი;“.

2. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ“–„ჩ“ ქვეპუნქტები:

„ფ) მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების იმპორტის, რეექსპორტის, საწყობის, დროებითი შემოტანის ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში – იმპორტის წინასწარ დასაბუთებული თანხმობა;

ქ) მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტის ან გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში – იმპორტიორი ქვეყნის წინასწარი თანხმობა, სადაც მინიშნებული იქნება, რომ იმპორტიორი მხარის ან სხვა ქვეყნის ეროვნული დანიშნული ორგანო თანახმაა როტერდამის კონვენციის III დანართში შესული საშიში ქიმიური ნივთიერების ან პესტიციდის იმპორტზე;

ღ) პრეკურსორის იმპორტის შემთხვევაში – წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი;

ყ) პრეკურსორის ექსპორტის შემთხვევაში – წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი;

შ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტის, საწყობის, დროებითი შემოტანისა და შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში – „საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი“;

ჩ) ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტის, საწყობის, დროებითი შემოტანისა და შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში – „საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტი“.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. **დანართი №IV-02 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

4. 84-ე **მუხლის**:

ა) „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სახიფათო ნარჩენები;

ზ) არასახიფათო ნარჩენები;“;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:

„ზ[1]) რადიოაქტიური ნარჩენები;“;

გ) „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) ოზონდამშლელი ნივთიერებები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7[2] პუნქტის შესაბამისად.“.

5. 89-ე **მუხლის** მე-2 **პუნქტის** „ა“ **და** „ბ“ **ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) პრეკურსორები, ნარჩენები, ოზონდამშლელი ნივთიერებები და მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერებები და პესტიციდები (იმ შემთხვევის გარდა, როცა აღნიშნული საქონლის მიმღები ან გამგზავნია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება);

ბ) ბირთვული და რადიაციული ობიექტები, ბირთვული მასალები, რადიოაქტიური ნივთიერებები, რადიოაქტიური ნარჩენები, მინერალები (წიაღისეული), რომლებისაგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფერი, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიები ან ნოუ-ჰაუები (იმ შემთხვევის გარდა, როცა აღნიშნული საქონლის მიმღები ან გამგზავნია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება);“.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ ბრძანების მოქმედება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „შ“ და „ჩ“ ქვეპუნქტებისა, გავრცელდეს 2016 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №IV-02

ლიცენზიები/ნებართვები/სერტიფიკატები

შენიშვნა: საჭირო დოკუმენტი შესაბამისი სასაქონლო ოპერაციის სვეტში მინიშნებულია ვარსკვლავით

დოკუმენტის დასახელება	**იმპორტი**	**საწყობი**	**რეექსპორტი**	**დრო-ებითი შემო-ტანა**	**ექსპორტი**	**ტრანზიტი**	**შიდა გადამუ-შავება**	**გარე გადამუშავება**
დაკვირვების ელექტრონული საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ლიცენზია	*	*			*			*
ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია					*			*
ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა		არსებო-ბის შემთხვე-ვაში				არსებო-ბის შემთხვე-ვაში		
ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა	*	*			*	*	*	*
ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა.	*	*	*		*	*	*	*
რადიოაქტიური მასალების, ნედლეულის, რომლებიდანაც შესაძლებელია ბირთვული მასალის მიღება ან წარმოება, დანადგარების, რომლებიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებებს, ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუს იმპორტი, ექსპორტი, აგრეთვე რადიოაქტიური წყაროების ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის ნებართვა	*	*	*		*	*		*
რადიოაქტიური ნარჩენების ექსპორტის ნებართვა					*			
„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა	*	*	*	*	*			

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა	*	*	*	*	*	*		*
უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანისა და საქართველოში გადაადგილების ნებართვა			*	*		*		
საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვა	*	*		*	*			
ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტის ნებართვა	*	*	*	*			*	*
ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის ნებართვა			*		*			*
ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა						*		
სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა	*				*			*
არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვა	*							
საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვა					*			*
დსთ-ის ზოგიერთ ქვეყანაში წარმოებული საქონლის რეექსპორტის ნებართვა (შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული)			*					
სამხედრო პროდუქციის იმპორტის ნებართვა	*	*	*	*			*	*
სამხედრო პროდუქციის ექსპორტის ნებართვა			*		*			*
სამხედრო პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა						*		
უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შეძენილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი გაზის (აირის) იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვა					*			

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვა	*	*	*	*				
შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულების მიერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა	*			*	*			
იოდიზებული მარილისა და სხვა ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტების შესაბამისობის სერტიფიკატი	*	*						
ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი			საჭიროე-ბის შემთხვე-ვაში		საჭიროე ბის შემთხვე ვაში	საჭიროე-ბის შემთხვე-ვაში		საჭიროე ბის შემთხვე ვაში
ვეტერინარული სერტიფიკატი			ასლი (დედანი მიყვება დანიშნ-ულებისა-მებრ)		საჭიროე ბის შემთხვე ვაში	*		საჭიროე ბის შემთხვე ვაში
სამკურნალო საშუალებების აღნუსხვის ფორმა	*				*			
საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 9404 - სასაქონლო პოზიციაში შემავალი მეორადი მოხმარების საქონელსა და 6309, 6310, 9802, 9803 და 9804 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მეორადი მოხმარების საქონელზე - ფუმიგაციის ან/და დეზინფექციის სერტიფიკატი	*							
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კონვენციებით გათვალისწინებული საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ნებართვა/ავტორიზაცია ან სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს 2012 წლის 27 იანვრის N06 ბრძანებით გათვალისწინებული ავტორიზაცია საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვაზე, რომელსაც გასცემენ პარტნიორი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოები			*		*	*		*
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე			*		*	*		*“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/535

2016 წლის 5 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 150211, 15.02.2011, სარეგისტრაციო კოდი: 040110030.22.024.016035) დამტკიცებულ „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობას, რომელიც უნდა შეადგენდეს საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 10%-ს და არაუმეტეს 80%-ს. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 15 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №27897

2016 წლის 6 ოქტომბერი, ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევის წესი“ თანდართული რედაქციით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადეს „შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 30 ნოემბრის №2385 ბრძანება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი
გიორგი თაბუაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

აღნიშნული წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) მიერ მომსახურების გაწევის წესს.

მუხლი 2. საფასურის გადახდის წესი

1. დაინტერესებული პირი ვალდებულია, შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე პირადად ან მესამე პირის მეშვეობით გადაიხადოს მომსახურების საფასური (მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში, სსიპ – შემოსავლების სამსახური,საიდენტიფიკაციო კოდი: 204525585ბანკი: სახელმწიფო ხაზინა,ბანკის კოდი: TRESGE22მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 707017021).

2. საფასურის გადახდა ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში – ლარებში, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. საფასურის გადახდა ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში.

4. მომსახურების გაწევის მოთხოვნით საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვისას (განცხადების წარდგენისას), დაინტერესებული პირი ვალდებულია წარადგინოს მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (გარდა, ასეთი დოკუმენტის ელექტრონული ფორმით წარდგენისას), გარდა, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება მომსახურების გაწევის შემდგომ ან როდესაც პირი გათავისუფლებულია დადგენილი საფასურის გადახდისაგან ან ასეთი მომსახურების გაწევა უფასოა.

5. პირი უფლებამოსილია განცხადება, საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი სხვა დოკუმენტები საგადასახადო ორგანოში წარადგინოს ელექტრონული (CD-დამგროვებლის მეშვეობით) ან მატერიალური ფორმით. ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი ერთი სახისა და შინაარსის მქონე ყველა დოკუმენტი გაერთიანებული უნდა იყოს ერთ ფაილში.

6. იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ მოთხოვნილია აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვის გაცემა, წამახალისებელი გათამაშების ახალი ეტაპის მოწყობაზე თანხმობის გაცემა, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის პირობებში ცვლილებების შეტანაზე თანხმობის გაცემა, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვაში (ობიექტის ადგილმდებარეობის) ცვლილების შეტანა, საგადასახადო ორგანოს დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს ელექტრონული ფორმით, ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

7. მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა (ხარვეზის გამოუსწორებლობა) მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საფუძველია.

8. თუ დაინტერესებულმა პირმა ისარგებლა ინტერნეტით და განცხადება დაარეგისტრირა საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ ისეთ მომსახურებაზე, რომელიც მხოლოდ ფასიანია, მაშინ აუცილებელია ელექტრონული რეგისტრაციისას, დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი იყოს მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონული (სკანირებული) ვერსია ან მან განახორციელოს გადახდა ვებგვერდის – www.rs.ge-ის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით.

მუხლი 3. მომსახურების ვადის ათვლის წესი

1. მომსახურების გაწევისათვის საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით დაწესებული ვადის ათვლა იწყება საგადასახადო ორგანოში განცხადების/დეკლარაციის რეგისტრაციის ან ხელშეკრულების გაფორმების ან სხვა მოქმედების განხორციელების (შესაბამისი პირობების შექმნის) მომდევნო სამუშაო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლისთანავე. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. იმ შემთხვევაშინ თუ ამ წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარმოდგენა ხდება არასამუშაო დღეს ან/და არასამუშაო საათებში, განცხადების რეგისტრაციის თარიღად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

3. თუ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით მომსახურების გაწევისათვის ვადა დადგენილია საათებით, მისი ათვლა იწყება საგადასახადო ორგანოში განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან, თუ ასეთი მომსახურებისათვის დადგენილი ვადა იწურება საგადასახადო ორგანოს სამუშაო დროის გასვლამდე. სხვა შემთხვევაში მომსახურების გაწევისათვის საათებით დადგენილი ვადის ათვლა იწყება მომდევნო სამუშაო დღის დაწყებისთანავე.

4. თუ პირის მიერ მოთხოვნილი მომსახურების გაწევისათვის სავალდებულოა გარკვეული სახის დოკუმენტების წარდგენა ან პირობების შექმნა, ასეთი დოკუმენტების წარუდგენლობის ან არასრულად წარდგენის შემთხვევაში ან/და შესაბამისი პირობების შექმნამდე ან/და მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობისას, საგადასახადო ორგანო, განცხადების რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ვადის ბოლოს წინა დღისა, პირს წერილობით უთითებს წარმოსადგენი დოკუმენტების ან/და პირობების შექმნის თაობაზე (ადგენს ხარვეზს) და აძლევს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

5. თუ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით მომსახურების გაწევისათვის დადგენილია ერთი დღე ან ვადა დადგენილია საათებით, საგადასახადო ორგანო პირს ხარვეზს უდგენს დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში.

6. ხარვეზის დადგენით ჩერდება მომსახურების გაწევის ვადის დინება. ვადის დინება განახლდება პირის მიერ ხარვეზის გამოსწორების დღის მომდევნო სამუშაო დღიდან და დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველია.

7. თუ პირის მიერ განცხადებით მოთხოვნილია მომსახურების გაწევა იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც მომსახურების გაწევა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად უფასოა, იგი უფლებამოსილია გადაიხადოს მომსახურების საფასური და მოითხოვოს დაჩქარებული (ფასიანი) მომსახურების გაწევა. ასევე შესაძლებელია ფასიანი მომსახურების დაჩქარება, საფასურებს შორის განსხვავების გადახდით. ამ შემთხვევებში, დაჩქარებული მომსახურების ვადის ათვლა იწყება საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის მომდევნო სამუშაო დღიდან.

8. თუ პირს გადახდილი აქვს საფასური კონკრეტულ ვადაში მომსახურების გაწევისათვის, შესაძლებლობის შემთხვევაში მას მომსახურება უნდა გაეწიოს აღნიშნულ ვადაზე უფრო ადრე (მ.შ. საგადასახადო ორგანოში განცხადების რეგისტრაციის დღესაც), თუ ამ სახის მომსახურებისათვის უფრო მცირე ვადა არ არის დადგენილი.

9. თუ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით შესაბამისი მომსახურების გაწევა მხოლოდ ფასიანია (არ არის გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უფასოდ), ასეთი მომსახურება საგადასახადო ორგანოს მიერ გაწეული უნდა იქნეს მხოლოდ პირის მიერ საფასურის გადახდის შემდეგ (თუ ამავე საქართველოს მთავრობის დადგენილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), ამ დადგენილებაში მითითებული ვადების დაცვით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 4. საფასურის დაბრუნების საფუძვლები

1. გადახდილი საფასური ექვემდებარება დაბრუნებას, თუ:

ა) პირმა განცხადების შემოტანამდე/დეკლარაციის დარეგისტრირებამდე/ხელშეკრულების გაფორმებამდე მოითხოვა გადახდილი თანხის დაბრუნება;

ბ) საფასურის თანხა გადახდილია შეცდომით ან საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით. ამ შემთხვევაში ბრუნდება შეცდომით გადახდილი თანხა ან სხვაობა გადახდილ თანხასა და მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ განაკვეთს შორის;

გ) თუ საგადასახადო ორგანომ ობიექტური მიზეზით ვერ შეძლო დაჩქარებული მომსახურების გაწევა;

დ) პირს მომსახურების გაწევაზე უარი ეთქვა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო;

ე) პირმა შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის მიერ მომსახურების გაწევამდე უარი თქვა აღნიშნული მომსახურების მიღებაზე.

2. მომსახურებისათვის გადახდილი საფასური არ ბრუნდება, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. თუ პირმა განცხადების შემოტანის/დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ უარი თქვა მომსახურების გაწევაზე, მას გადახდილი საფასური არ დაუბრუნდება, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. მომსახურების გაწევის მოთხოვნით საგადასახადო ორგანოსთვის შემდგომი მიმართვისას პირი ვალდებულია, დადგენილი წესითა და ოდენობით გადაიხადოს მომსახურების საფასური.

4. თუ პირის მიერ საფასური გადახდილია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით, გადახდილ თანხასა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით მომსახურებისათვის განსაზღვრულ განაკვეთს შორის სხვაობის ან არასწორად გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნით პირმა უნდა მიმართოს იმ საგადასახადო ორგანოს, რომლისგანაც მიიღო მომსახურება და განცხადებაში მიუთითოს მისი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, წარმოადგინოს მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ასლი (გარდა, ასეთი დოკუმენტის ელექტრონული ფორმით წარმოდგენისას).

5. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში,თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტი, პირის მოთხოვნიდან 30 დღის ვადაში, საგადასახადო ორგანოს/სტრუქტურული ერთეულის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, რომელშიც ასევე უნდა აღინიშნოს თანხის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას.

მუხლი 5. მომსახურების საფასურის აღრიცხვა

1. მომსახურების გაწევის შემდეგ გადასახდელი მომსახურების საფასური საგადასახადო ორგანოს მიერ აღირიცხება პროგრამულად, „მომსახურების საფასურის აღრიცხვის ბარათზე“ (შემდგომში – ბარათი) საფასურის თანხის დარიცხვისა და გადახდის ოპერაციებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მომსახურების გაწევის შემდეგ გადასახდელი მომსახურების საფასურის დარიცხვის თაობაზე დაინტერესებულ პირს (მომსახურების მიმღებს) ეგზავნება შეტყობინება, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) ინდივიდუალურ ნომერს;

ბ) დაინტერესებული პირის სახელს, გვარს, პირად ნომერს/იურიდიული პირის დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომერს;

გ) გაწეული მომსახურების სახეს და მომსახურების საფასურის ოდენობას;

დ) შემოსავლების სამსახურის (მიმღების) საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს, ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

ე) მომსახურების გაწევის თარიღს;

ვ) მომსახურების საფასურის გადახდის ვადას;

ზ) იმპორტის გადასახდელების ოდენობას და შესაბამის სახაზინო კოდს, საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში.

3. მომსახურების საფასურის მესამე პირის მეშვეობით გადახდისას, თუ ვერ დასტურდება, რომ დაინტერესებულმა პირმა მომსახურების საფასური გადაიხადა მესამე პირის მეშვეობით, მან თანხის გადატანის მოთხოვნით წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს იმ საგადასახადო ორგანოს, რომელმაც გაუწია მომსახურება. ამ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს აგრეთვე წარედგინება მესამე პირის წერილობითი განცხადება მომსახურების საფასურის დაინტერესებული პირის სასარგებლოდ გადახდის შესახებ და მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო ახორციელებს დაინტერესებული პირის და მესამე პირის ბარათების კორექტირებას – მესამე პირის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურის თანხის გადატანას დაინტერესებული პირის დავალიანების დასაფარად (დაინტერესებული პირის/მესამე პირის განცხადებაში მითითებული თანხის ოდენობით).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №12

2016 წლის 17 ოქტომბერი, ქ. თბილისი

აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესი”.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

იური დოლიძე

აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებით პირობებს და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ეს წესი განკუთვნილია აუდიტორებისა და აუდიტორული (აუდიტური) ფირმების (შემდგომ – აუდიტორული ფირმა) სახელმწიფო რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) რეგისტრირებული ან რეგისტრაციით დაინტერესებული, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირისათვის, უცხოური საწარმოს ფილიალისა და ფიზიკური პირისათვის.

3. ამ ბრძანების მიზნებისთვის აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება) (შემდგომ – აუდიტორული მომსახურება) განიმარტება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ – კანონი) მე-2 მუხლის ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 2. დაზღვევის არსებითი პირობები

1. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების გაწევის შედეგად სუბიექტისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი.

2. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის პროფესიული პასუხიმგებლობის დაზღვევა ხორციელდება მისი (დამზღვევის) მზღვეველთან დაზღვევის ხელშეკრულების დადებით. მზღვეველი შეიძლება იყოს:

ა) სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად და რომელსაც „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია;

ბ) ეკონომიკური განვითარებისა და ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში რეგისტრირებული და შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო და გადაზღვევის ორგანიზაციების მიერ საქართველოში დაფუძნებული ფილიალი (წარმომადგენლობა), რომელიც რეგისტრირებულია ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სადაზღვევო შემთხვევად, ამ ბრძანების მიზნებისათვის, ჩაითვლება რეესტრში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმისთვის სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში სუბიექტის მხრიდან ისეთი მოთხოვნის წარდგენა, რომლის საფუძველია ამ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ სადაზღვევო პოლისის მოქმედების (ან რეტროაქტიური) პერიოდის განმავლობაში, მისი რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ განხორციელებული აუდიტორული მომსახურებისას განზრახ, გაუფრთხილებლობით ან/და შეცდომით განხორციელებული ქმედების შედეგად დამდგარი მატერიალური ზიანი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. აუდიტორების/აუდიტორული ფირმების განზრახ ქმედებით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის საფუძველზე სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შედეგად და შემდეგ მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევის მიმართ გამოიყენოს რეგრესის უფლება.

5. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა. სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 1 წლით. სადაზღვევო პოლისით რეტროაქტიური პერიოდი უნდა განისაზღვროს სადაზღვევო პოლისის ძალაში შესვლის თარიღის წინმსწრები არანაკლებ 24 კალენდარული თვით. რეტროაქტიურ პერიოდში აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიერ აუდიტორული მომსახურების პროცესში განხორციელებული ქმედებების შედეგად დამდგარი მატერიალური ზიანის სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისათვის აუცილებელია, რომ სადაზღვევო შემთხვევის საფუძველად განსაზღვრულ ქმედებას ადგილი ჰქონდეს რეტროაქტიური პერიოდის განმავლობაში. ასევე, აუცილებელია, რომ აუდიტორების/აუდიტორული ფირმებისათვის სუბიექტის მოთხოვნის შესახებ პირველად გახდეს ცნობილი შესაბამისი სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში.

6. აუდიტორის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, ამ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ დაზღვევის პოლისის მოქმედების პერიოდში განხორციელებული მომსახურების შედეგად სუბიექტისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე მზღვეველი პასუხისმგებელია რეგისტრაციის შეწყვეტიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო პერიოდის დასრულებიდან მომდევნო 12 თვისა.

7. პროფესიული პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისის მთლიანი სადაზღვევო თანხის ოდენობა განისაზღვრება აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ წინა წელს აუდიტორული მომსახურებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის მიხედვით და გამოიანგარიშება ქვემოთ ჩამოთვლილ სიდიდეებს შორის უდიდესის საფუძველზე:

ა) არანაკლებ აუდიტორული მომსახურებიდან მიღებული წინა წლის მთლიანი შემოსავალი გამრავლებული 2-ზე;

ბ) 100 000 ლარი.

8. ლიმიტი თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე უნდა შეადგენდეს მთლიანი სადაზღვევო თანხის არანაკლებ 10%-ს.

9. ფრანშიზა (მზღვეველის მიერ აუნაზღაურებელი მინიმუმი) თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის უნდა შეადგენდეს ასანაზღაურებელი თანხის არაუმეტეს 5%-ს, მაგრამ არანაკლებ:

ა) 1 000 ლარს, თუ დამზღვევს წარმოადგენს ფიზიკური პირი და ინდივიდუალურად ახორციელებს აუდიტორულ მომსახურებას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) 2 000 ლარს, თუ დამზღვევს წარმოადგენს იურიდიული პირი – აუდიტორული ფირმა.

10. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე დაზღვევის ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანის თაობაზე (მათ შორის, სადაზღვევო თანხის გაზრდის ან შემცირების შესახებ) აცნობოს სამსახურს ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშო დღისა.

მუხლი 3. გარდამავალი დებულება

ის აუდიტორები/აუდიტორული ფირმები, რომლებიც ამ ბრძანების ამოქმედებამდე, 2016 წლის 25 ივნისამდე პერიოდში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებდნენ აუდიტორულ მომსახურებას და დაზღვეული აქვთ პროფესიული პასუხისმგებლობა, რეესტრში რეგისტრაციის მიზნით ვალდებულნი არიან ამ ბრძანების ამოქმედებამდე დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებებში განახორციელონ შესაბამისი ცვლილებები, ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მოთხოვნათა დაცვით.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №2

2016 წლის 29 სექტემბერი, ქ. თბილისი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების და ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.

მუხლი 2

ამ ბრძანებით გათვალისწინებული უმაღლესი განათლება მოიცავს ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის აკადემიურ ხარისხს ან მათთან გათანაბრებულ ხარისხს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

იური დოლიძე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

თავი I. აპარატი

მუხლი 1. სამსახურის აპარატის უფროსი

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) იურისტად ან ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილებას);

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ'', საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა; სასურველია ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული პროგრამის (eHRMS) და საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument) სისტემების ცოდნა;

ე) ინგლისური ენის ძალიან კარგად ცოდნა.

მუხლი 2. ბუღალტერი

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) საჯარო სექტორში ბუღალტრად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის I და IV თავების, საქართველოს საგადასახადო კოდექსის XI თავის, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ'', საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ" I და IV თავების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანების ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანების ,,საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების ,,საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 6 ივლისის №225 ბრძანების ,,სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა ორისის (ORIS), ბიუჯეტის მართვის ელექტრონული პროგრამის (E-Budget), სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების პროგრამის (eTreasury) ცოდნა, ასევე საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 3. უფროსი სპეციალისტი (ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება)

ა)უმაღლესი განათლება ინჟინერიის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით;

ბ)ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ)საქართველოს კონსტიტუციის I თავის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) ქსელის პროტოკოლების და ტექნოლოგიების ცოდნა, კომპიუტერულ ტექნიკასთან და ოპერაციულ სისტემებთან მუშაობისას დამხმარე პროგრამების გამოყენების საფუძვლიანი ცოდნა (Commander, Backup and Restore და ა.შ, კომპიუტერული ტექნიკისა და ტექნოლოგიების (Hardware) ცოდნა, ასევე საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის საშუალოზე მაღალ დონეზე ცოდნა;

ე) ინგლისური ენის ცოდნა.

მუხლი 4. სპეციალისტი (საქმისწარმოების მიმართულება)

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საჯარო სექტორში საქმისწარმოების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III და IV თავების, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ'', საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ I და IV თავების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook, საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ე) ინგლისური ენის ცოდნა.

მუხლი 5. სპეციალისტი (ადამიანური რესურსების მართვის მიმართულება)

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ'', საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ე) ინგლისური ენის ცოდნა.

მუხლი 6. თანაშემწე

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის I თავის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III და IV თავების, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

დ) ინგლისური ენის ძალიან კარგად ცოდნა.

თავი II. აუდიტის და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

მუხლი 7. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტის უფროსი

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (უპირატესობა ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების და აუდიტის სპეციალობებს და ამ სპეციალობებში უფრო მაღალ აკადემიურ ხარისხს);

ბ) აუდიტის ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის სწავლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება (მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის);

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,მეწარმეთა შესახებ“, ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრისთვის, ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC1), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების(ISA), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) სასურველია პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ან სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტის (AICPA) სერტიფიკატის ფლობა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ვ) ინგლისური ენის ძალიან კარგად ცოდნა.

2. **დეპარტამენტის უფროსის მოადგილე**

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (უპირატესობა ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების და აუდიტის სპეციალობებს და ამ სპეციალობებში უფრო მაღალ აკადემიურ ხარისხს);

ბ) აუდიტის ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის სწავლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება (მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 1 წლის);

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ“, ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრისთვის, ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC1), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების(ISA), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) სასურველია პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ან სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტის (AICPA) სერტიფიკატის ფლობა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ვ) ინგლისური ენის ძალიან კარგად ცოდნა.

მუხლი 8. მთავარი სპეციალისტი

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (უპირატესობა ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების და აუდიტის სპეციალობებს და ამ სპეციალობებში უფრო მაღალ აკადემიურ ხარისხს);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) აუდიტის ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღრიცხვა, ანგარიშგების ან/და აუდიტის სწავლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ“, ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრისთვის, ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC1), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების(ISA), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) სასურველია პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ან სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტის (AICPA) სერტიფიკატის ფლობა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ვ) ინგლისური ენის ძალიან კარგად ცოდნა.

მუხლი 9. უფროსი სპეციალისტი (იურისტი)

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, მათ შორის საჯარო სექტორში სამართალშემოქმედებითი მუშაობის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ'', საქართველოს კანონის ,,მეწარმეთა შესახებ'', საქართველოს კანონის ,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, საქართველოს კანონის „დაზღვევის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ;“ საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook), დოკუმენტბრუნვის და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) ინგლისური ენის კარგად ცოდნა.

მუხლი 10. უფროსი სპეციალისტი (აუდიტის და პროფესიული განათლების ზედამხედველობის მიმართულება)

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (უპირატესობა ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების და აუდიტის სპეციალობებს და ამ სპეციალობებში უფრო მაღალ აკადემიურ ხარისხს);

ბ) აუდიტის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ფინანსური ანგარიშგების სფეროში, ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღრიცხვა, ანგარიშგების ან/და აუდიტის სწავლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ“, ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC1), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების(ISA), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) სასურველია პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ან სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტის (AICPA) სერტიფიკატის ფლობა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ვ) ინგლისური ენის კარგად ცოდნა.

მუხლი 11. სპეციალისტი

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (უპირატესობა ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების და აუდიტის სპეციალობებს და ამ სპეციალობებში უფრო მაღალ აკადემიურ ხარისხს);

ბ) აუდიტის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ბუღალტრული აღრიცხვისა ან/და ფინანსური ანგარიშგების სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ“, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების(ISA), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) სასურველია პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ან სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტის (AICPA) სერტიფიკატის ფლობა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ვ) ინგლისური ენის ცოდნა.

თავი III. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი

მუხლი 12. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. **დეპარტამენტის უფროსი**

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (უპირატესობა ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების და აუდიტის სპეციალობებს და ამ სპეციალობებში უფრო მაღალ აკადემიურ ხარისხს);

ბ) ფინანსური მენეჯმენტის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ფინანსური ანგარიშგების სფეროში, აუდიტის სფეროში ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღრიცხვა, ანგარიშგების ან/და აუდიტის სწავლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება (მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის);

გ) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,მეწარმეთა შესახებ“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების(IFRS), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) სასურველია პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ან სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტის (AICPA) სერტიფიკატის ფლობა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ვ) ინგლისური ენის ძალიან კარგად ცოდნა.

2. **დეპარტამენტის უფროსის მოადგილე**

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (უპირატესობა ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების და აუდიტის სპეციალობებს და ამ სპეციალობებში უფრო მაღალ აკადემიურ ხარისხს);

ბ) ფინანსური მენეჯმენტის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ფინანსური ანგარიშგების სფეროში, აუდიტის სფეროში ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღრიცხვა, ანგარიშგების ან/და აუდიტის სწავლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება (მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 1 წლის);

გ) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,მეწარმეთა შესახებ“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების(IFRS), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) სასურველია პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ან სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტის (AICPA) სერტიფიკატის ფლობა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ვ) ინგლისური ენის ძალიან კარგად ცოდნა.

მუხლი 13. მთავარი სპეციალისტი

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (უპირატესობა ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების და აუდიტის სპეციალობებს და ამ სპეციალობებში უფრო მაღალ აკადემიურ ხარისხს);

ბ) ფინანსური მენეჯმენტის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ფინანსური ანგარიშგების სფეროში, აუდიტის სფეროში ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღრიცხვა, ანგარიშგების ან/და აუდიტის სწავლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,მეწარმეთა შესახებ“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) სასურველია პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ან სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტის (AICPA) სერტიფიკატის ფლობა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ვ) ინგლისური ენის ძალიან კარგად ცოდნა.

მუხლი 14. უფროსი სპეციალისტი (იურისტი)

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, მათ შორის საჯარო სექტორში სამართალშემოქმედებითი მუშაობის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“; საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ'', საქართველოს კანონის ,,მეწარმეთა შესახებ'', საქართველოს კანონის „დაზღვევის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ;“ საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook), დოკუმენტბრუნვის და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ე) ინგლისური ენის კარგად ცოდნა.

მუხლი 15. უფროსი სპეციალისტი (ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის მიმართულება)

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (უპირატესობა ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების და აუდიტის სპეციალობებს და ამ სპეციალობებში უფრო მაღალ აკადემიურ ხარისხს);

ბ) ფინანსური მენეჯმენტის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების სფეროში, აუდიტის სფეროში ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღრიცხვა, ანგარიშგების ან/და აუდიტის სწავლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,მეწარმეთა შესახებ“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების(IFRS), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

დ) სასურველია პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ან სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტის (AICPA) სერტიფიკატის ფლობა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ვ) ინგლისური ენის კარგად ცოდნა.

მუხლი 16. სპეციალისტი

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (უპირატესობა ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების და აუდიტის სპეციალობებს და ამ სპეციალობებში უფრო მაღალ აკადემიურ ხარისხს);

ბ) ფინანსური მენეჯმენტის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ბუღალტრული აღრიცხვის ან/და ფინანსური ანგარიშგების სფეროში ან აუდიტის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,მეწარმეთა შესახებ“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების(IFRS), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'' ცოდნა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) სასურველია პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ან სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტის (AICPA) სერტიფიკატის ფლობა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet/Web browsers-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ვ) ინგლისური ენის ცოდნა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №104/04

2016 წლის 5 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №33/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №33/04 ბრძანებით დამტკიცებული წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„6. დაინტერესებული იურიდიული პირის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, ეროვნული ბანკი 45 სამუშაო დღის ვადაში იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის ერთი პირი ეგზავნება განმცხადებელს.

2. **მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის** 7^1 **პუნქტი**:

„7^1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაინტერესებულ იურიდიულ პირს უარი უთხრას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციაზე, თუ აღნიშნული პირის, მისი პარტნიორის/აქციონერის ან დირექტორის მიერ არ არის გადახდილი რეგისტრაციის მოთხოვნამდე ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული ჯარიმა.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-4 პუნქტი:

„4. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმებაზე:

ა) თუ ფულადი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ არ არის გადახდილი ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული ჯარიმა;

ბ) რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნამდე ან მოთხოვნის მომენტისათვის მიმდინარეობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ეროვნული ბანკის მიერ შემოწმება და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ ჩაჰბარებია შემოწმების აქტი და შემოწმების აქტის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე–პრეზიდენტი

(მოვალეობის შემსრულებელი)

ოთარ ნადარაია

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №105/04

2016 წლის 5 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №26/04 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №26/04 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. **მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. ეროვნული ბანკი სარეგისტრაციო ფორმის მიღებიდან 45 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციის და რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. ეროვნული ბანკი ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო რეკვიზიტებთან ერთად აღინიშნება ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის საფირმო სახელწოდება, მისამართი, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ პირს.“

2. **მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 4^2 პუნქტი**:

„4^2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს უარი უთხრას ფულადი გზავნილების განმახორცილებელი პირის რეგისტრაციაზე, თუ აღნიშნული პირის, მისი პარტნიორის/აქციონერის ან დირექტორის მიერ არ არის გადახდილი რეგისტრაციის მოთხოვნამდე ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული ჯარიმა.“.

3. **მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 7^1 პუნქტი**:

„7^1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციის გაუქმებაზე:

ა) თუ ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის მიერ არ არის გადახდილი ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული ჯარიმა;

ბ) თუ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნამდე ან მოთხოვნის მომენტისათვის მიმდინარეობდა ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის ეროვნული ბანკის მიერ შემოწმება და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირს არ ჩაბარებია შემოწმების აქტი და შემოწმების აქტის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე–პრეზიდენტი

(მოვალეობის შემსრულებელი)

ოთარ ნადარაია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №106/04

2016 წლის 5 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №25/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №25/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე–პრეზიდენტი

(მოვალეობის შემსრულებელი)

ოთარ ნადარაია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №107/04

2016 წლის 5 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №27/04 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №27/04 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. **პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 1^1 მუხლი**:

„მუხლი 1^1. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ვალუტის ყიდვა – ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ უცხოური ვალუტის შესყიდვა ლარით;

ბ) ვალუტის გაყიდვა – ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ უცხოური ვალუტის გაყიდვა ლარზე;

გ) საკომისიო – მომსახურებისათვის გადასახდელი, რომელსაც პუნქტი აწესებს ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციაზე და რომლის დაწესება ნებაყოფილობითია;

დ) საყურადღებო კურსი – ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ განსაზღვრული კურსი, რომლის დროსაც ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის სხვაობა აღემატება 3%-ს.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობები.“.

2. **მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„1. ეროვნული ბანკი სარეგისტრაციო ფორმის მიღებიდან 45 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის და რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. ეროვნული ბანკი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო რეკვიზიტებთან ერთად აღინიშნება ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საფირმო სახელწოდება, მისამართი, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტს.“.

3. **მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 1^1 პუნქტი**:

„1^1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს უარი უთხრას ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციაზე, თუ აღნიშნული პირის, მისი პარტნიორის/აქციონერის ან დირექტორის მიერ არ არის გადახდილი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის მოთხოვნამდე ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული ჯარიმა.“.

4. **მე-4 მუხლის პირველ პუნქტს**:

ა) დაემატოს შემდეგი რედაქციის „$ე^1$“ ქვეპუნქტი:

$ე^1$) დადგინდა, რომ ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა ეროვნულ ბანკს არ შეატყობინა ინფორმაცია სარეგისტრაციო ფორმაში შეტანილი მონაცემების ცვლილების თაობაზე.“.

5. **მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 1^1 პუნქტი**:

„1^1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმებაზე:

ა) თუ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ არ არის გადახდილი ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული ჯარიმა;

ბ) რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნამდე ან მოთხოვნის მომენტისათვის მიმდინარეობდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ეროვნული ბანკის მიერ შემოწმება და ვალუტის გადამცვლელ პუნქტს არ ჩაბარებია შემოწმების აქტი და შემოწმების აქტის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. **მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“, „ე1“, „ვ“ „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებში ან „კ“ ქვეპუნქტში მითითებული საფუძვლებით ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მფლობელი პირი არ არის უფლებამოსილი ეროვნულ ბანკს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს რეგისტრაციის გაუქმებიდან შემდეგი 2 წლის განმავლობაში. ამ პუნქტში აღნიშნული საფუძვლებით ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მფლობელი პირი არ არის უფლებამოსილი შემდეგი 2 წლის განმავლობაში იყოს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის პარტნიორი/აქციონერი, მმართველობითი ორგანოს წევრი ან/და დირექტორი. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაცია გაუქმდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, მაშინ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მფლობელი პირი არ არის უფლებამოსილი ეროვნულ ბანკს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც მას სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამოერთვა შესაბამისი საქმიანობის უფლება.“.

7. **მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის**:

ა) **„გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„გ) სპეციალური პროგრამული საშუალებით წარმოებულ ციფრულ მონაცემთა ბაზაში ასახოს მის მიერ განხორციელებული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის თითოეული ოპერაცია, ამ წესის დანართ №3-ში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად, ამობეჭდოს „ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ გაწეული მომსახურების ქვითარი“ (დანართი №3), მისი ერთი პირი გადასცეს კლიენტს, მეორე კი შეინახოს ვალუტის გადამცვლელ პუნქტში. დანართი №3-ით განსაზღვრული ქვითარი ხელმოწერილი უნდა იყოს როგორც ვალუტის გადამცვლელი პუნქტის წარმომადგენლის (ოპერაციის შემსრულებელი), ასევე კლიენტის მიერ. ზემოაღნიშნული ოპერაციის ასახვის დროს მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითება სავალდებულოა მხოლოდ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. „ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ გაწეული მომსახურების ქვითრის" (დანართი №3) ელექტრონული ხელმოწერით დადასტურების შემთხვევაში, ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა უნდა უზრუნველყოს გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის შესაბამისობა „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 30 სექტემბრის №94/04 ბრძანების მოთხოვნებთან. კლიენტის მიერ მომსახურების ქვითრის დედნის ელექტრონული სახით მიღება უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ სანდო და დაცული გზით, რომელსაც კომერციული ბანკები იყენებენ იმ ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებული ელექტრონული დოკუმენტის ხელმისაწვდომობისთვის, რომელი ელექტრონული ხელმოწერის საბანკო სექტორში გამოყენებაც ხორციელდება ამ ქვეპუნქტში აღნიშნული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მოთხოვნების შესაბამისად. ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებულია განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერით ხელმოწერილი ქვითრის ელექტრონული სახით შენახვა.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებულია ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მომსახურების მომხმარებელს მიაწოდოს სრული ინფორმაცია ვალუტის გაცვლის კურსის, მომსახურების საკომისიოსა და საყურადღებო კურსის (ასეთების არსებობის შემთხვევაში) შესახებ. ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა აგრეთვე უნდა უზრუნველყოს მომსახურების საკომისიოს და საყურადღებო კურსის (ასეთების არსებობის შემთხვევაში) შესახებ კლიენტისათვის თვალსაჩინო ადგილას (სალაროსთან და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დაფაზე) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსის ამსახველი შრიფტის ზომის ინფორმაციის განთავსება.“.

8. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებულია იქონიოს ვალუტის ყიდვისა და ვალუტის გაყიდვის კურსების ამსახველი დაფა, რომელიც უნდა გაფორმდეს დანართ №6-ით განსაზღვრული მოთხოვნების და თანმიდევრობის დაცვით.“.

9. მე-6 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 მუხლი:

„1. ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, რომლებიც ამ მუხლის ამოქმედების თარიღისათვის საქმიანობენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიით, ითვლებიან წინამდებარე წესის თანახმად რეგისტრირებულებად.

2. ის პირები, რომლებიც, ამ მუხლის ამოქმედების თარიღისათვის ეწევიან ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობას და, ამასთან, არ აქვთ წარმოდგენილი ნასამართლეობის ცნობები, 2016 წლის 30 დეკემბრამდე ვალდებულნი არიან საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოადგინონ ნასამართლეობის ცნობები ამ წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნების დაცვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული საზედამხედველო ღონისძიებები.“.

10. დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

11. დაემატოს თანდართული რედაქციის დანართი №6.

მუხლი 2

ამ ბრძანების ამოქმედებისათვის რეგისტრირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტები ვალდებულნი არიან ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთ თვეში თავიანთი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანონ ამ ბრძანების მოთხოვნებთან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე–პრეზიდენტი

(მოვალეობის შემსრულებელი)

ოთარ ნადარაია

დანართი №1

სარეგისტრაციო ფორმა

I	**პირველი განყოფილება ინფორმაცია დაინტერესებული მეწარმე სუბიექტის თაობაზე**	
1	საფირმო სახელწოდება	
2	იურიდიული მისამართი	
3	ფაქტობრივი მისამართი	
4	საკონტაქტო ტელეფონები	
5	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი	
6	სამართლებრივი ფორმა	
7	საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირადი ნომერი ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში	
8	მომსახურე კომერციული ბანკის(ბანკების) დასახელება და მისი ანგარიშების რეკვიზიტები ამ ბანკში(ბანკებში)	
II	**მეორე განყოფილება ინფორმაცია ვალუტის გადამცვლელი ტექნიკური აღჭურვილობის თაობაზე (მონიშნეთ შესაბამისი კვადრატი)**	
	პუნქტის სარგებლობაში არსებული ტექნიკური საშუალებები:	
ა)	ყალბი ფულის ამომცნობი ტექნიკური საშუალება	□
ბ)	კომპიუტერული ტექნიკა	□
გ)	ვალუტის ყიდვა-გაყიდვის იპერაციების აღსარიცხავად, სისტემატიზაციისა და კანონით განსაზღვრული ვადით შენახვისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა	□
დ)	საოპერაციო ფართობის დაცვის საგანგაშო ღილაკი	□
ე)	ვიდეომეთვალყურეობის სისტემა	□

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

III	**ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის (მუშაობის) სქემა**	
ა)	მომსახურებისას ვიყენებ საკომისიოს	□
ბ)	მომსახურებისას ვიყენებ საყურადღებო კურსს	□

(უფლებამოსილი პირის სახელი
და გვარი)
ვადასტურებ სარეგისტრაციო ფორმაში შეტანილი ინფორმაციის უტყუარობას. ვადასტურებ, რომ გავეცანი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიულ აქტებს

დაინტერესებული მეწარმე სუბიექტი
_____
(უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, ხელმოწერა)

ვადასტურებ, რომ გავეცანი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიულ აქტებს

მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი ----------
(მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმებელი პირის სახელი და გვარი, ხელმოწერა)

სარეგისტრაციო ფორმის ეროვნულ ბანკში გაგზავნის თარიღი:

დანართი №6

ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დაფა

ვალუტის დასახელება	**ვალუტის ყიდვის კურსი**	**ვალუტის გაყიდვის კურსი**	**მომხმარებელთა საყურადღებოდ***	
			საკომისიოს ოდენობა	**საყურადღებო კურსი** *(პროცენტული სხვაობა ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის)*

შენიშვნა: ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დაფაზე საკომისიოს ოდენობის და საყურადღებო კურსის მითითება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის გადამცვლელი პუნქტი იყენებს საკომისიოს ან/და საყურადღებო კურსს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №246

2016 წლის 30 სექტემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111, 200090000.22.033.016112, 3.01.2011 წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 75^5 მუხლის პირველი პუნქტს „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „შენიშვნა“:

„**შენიშვნა**:

დღგ-ის თანხის დაბრუნებისათვის ამ პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობები, რომელიც ითვალისწინებს საქონლის ბარგის ან ხელბარგის სახით გატანას და სხვა საქონლისაგან დამოუკიდებლად წარდგენას, არ ვრცელდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4011 20 კოდით განსაზღვრულ საბურავებზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ
გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახაღო ინსპექტორების, აუდიტორების, ბულალტრებისა და ყველა მაღამხღელის უნივერსალური საშამიღო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com